ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის

2024 წელში გაწეული საქმიანობის ანგარიში

2024 წელში ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ გაწეული იქნა შემდეგი სამუშაოები. კერძოდ,

ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების 2024-2027 წლების და 2023–2027 წლების ინფრასტრუქტურული პროექტების პროგრამის განვითარების დოკუმენტების განხორციელების პროცესში.

ტურიზმის განვითრების კუთხით განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე დამონტაჟდა 2 „ჭკვიანი“ სკამი. „ჭკვიანი“ სკამების ფუნქციონირებისათვის მოხდა საჭირო მასალების მიწოდება: ფოტო და ვიდეო მასალა, რომელსაც დაედო QR კოდები, ასევე ტექსტუალური ნაწილი ყველა იმ ღირსშესანიშნავი ობიექტების, რომლებიც არის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში - მუზეუმები, ციხეები, ეკლესია მონასტრები, გორაბერეჟოულის დენდროლოგიური პარკი, ადგილობრივ მეწარმეთა სახელობითი სიები, მისამართებით და საკონტაქტოებით. სკამები გარდა ინფორმაციული ხასიათისა განკუთვნილი იქნება მათთვის, ვისაც მობილური ტელეფონის, კომპიუტერის ან რაიმე სხვა ტექნიკის დატენვა მოესურვება. ეს იქნება ელექტრო ენერგიის მიწოდების წყარო ღია სივრცეში. ცხადია, “ჭკვიანი” სკამები ინტერნეტითაც უზრუნველგვყოფენ.

აღნიშნული სამსახურის მიერ მოხდა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში არსებული ღირსშესანიშნაობების, (მუზეუმები, ციხეები, ეკლესია მონასტრები, გორაბერეჟოულის დენდროლოგიური პარკი), განთავსების ობიექტების, საოჯახო სასტუმროებისა და ადგილობრივ მეწარმეთა მონაცემების შეგროვება და Black Sea Arena-ს წარმომადგენლებზე გადაცემა, რათა მოხდეს ინფორმაციის განთავსება, მათ მიერ შექმნილ ვებგვერდზე. აღნიშნული ინფორმაცია დაეხმარება, როგორც ვიზიტორებს, ასევე მუნიციპალიტეტს პოპულარიზაციასა და ცნობადობის გაზრდაში.

აღნიშნული სამსახურის მიერ ორგანიზება გაეწია ვიდეო რგოლის გადაღებას დრონით, სადაც წარმოჩენილი იქნება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში არსებული ღირსშესანიშნავი და ტურისტულად მიმზიდველი ლოკაციები. რაც თავისთავად გაზრდის ვიზიტორთა დაინტერესებას.

საინვესტიციო გარემოს განვითარების კუთხით განხორციელდა შემდეგი საქმიანობები. კერძოდ,

სლოვაკეთის საელჩოს პროექტი - მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში დასრულდა სლოვაკეთის საელჩოს მიერ დაფინანსებული პროექტი - „ნარჩენების მართვის გაუმჯობესება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში“. პროექტით შეძენილი იქნა 44 ცალი 1100 ლიტრიანი პლასტმასის ნაგავშემკრები კონტეინერები. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 26928. ლ.

საანგარიშო პერიოდში მომზადდა და განხორციელდა გოეთეს ინსტიტუტის მიერ დაფინასებული პროექტი - პროექტის ფარგლებში შერჩეული იქნა და განხორციელდა 43 შენობა ნაგებობის ფიზიკური აღნუსხვა, 34 ობიექტის პასპორტიზაცია, დასურათება და Google Earth დატანა. შენობები ძირითადად იყოფა კულტურა და შემოქმედებითი ინფრასტრუქტურის და ადმინისტრაციული ნაგებობების ტიპებად. პროექტის ღირებულებამ შეადგინა 5000 ევრო.

საანგარიშო პერიოდში დაიწყო GIZ მიერ დაფინანსებული პროექტის „**დეგრადირებული მწვანე სივრცის აღდგენა და სარეკრეაციო ზონის მოწყობა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში“**. **პროექტით განსაზღვრულია**: გორაბერეჟოულის დენდროლოგიურ პარკში მწვანე ნარგავებით დაფარული ფართობის აღდგენა; სარეკრეაციო ზონის მოწყობა; არსებული შენობის აღჭურვა ტექნიკით და ინვენტარით, რომელიც გამოიყენება საგანმანათლებლო მიზნებისთვის, ეკო-საგანმანათლებლო ვიზიტებისა თუ ლექციების ჩატარებისათვის; მწვანე ნარგავებისთვის საბაზისო აღჭურვილობის შესყიდვა და სხვა. პროექტის ბიუჯეტი შეადგენს 121.060 ლარს. პირველ ეტაპზე გამოცხადებულია ტენდერი ტექნიკისა და აღჭურვილობის შესყიდვაზე ღირებულება 25000 ლარი.

„მერების შეთანხმება აღმოსავლეთით“ ფარგლებში გამოცხადებული საგრანტო კონკურსისთვის „სადემონსტრაციო პროექტები კლიმატის ადაპტაციისთვის - EU4ClimateResilience“ შემუშავებული იქნა საგრანტო პროექტის „კლიმატისადმი მდგრადი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი'' კონცეფციის ბარათი. პროექტი მიზნად ისახავს მდინარე სუფსის ნაპირების გამაგრებას გაბიონების მოწყობით, საერთო ჯამში 1800 გრძივ მეტრზე; დაბაში სანიაღვრე არხების მოწყობას, საერთო ჯამში 3300 გრძივ მეტრზე; საზოგადოებრივი სივრცეების გამწვანებას; ქსელთან დაკავშირებული PV სისტემის მოწყობას (10 კვტ-მდე) ინტეგრირებული მწვანე სატრანსპორტო ობიექტთან (EV დამტენი); მუნიციპალიტეტის მდგრადი ენერგიისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის (SECAP) განხორციელებისთვის პირველი მონიტორინგის გეგმის შემუშავებას და წარდგენას; საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობას SECAP-ის განხორციელებაში და ადგილობრივი საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდას. საპროექტო წინადადების მთლიანი ბიუჯეტი შეადგენს 590 000 ევროს, სადაც 95% GIZ - ის საგრანტო დაფინანსებაა, ხოლო 5% მუნიციპალიტეტის ფინანსური თანამონაწილეობაა. გრანტიორის მიერ კონცეფციის ბარათის მოწონების შემთხვევაში საგრანტო დაფინანსების მოსაპოვებლად წარდგენილი იქნება სრულ საპროექტო წინადადება.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში აქტიურად მიმდინარეობს პროექტი „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი მდგრადი ენერგეტიკული მომავლისკენ“, რომელიც ხორციელდება 2023 წლიდან. მიმდინარე წელს განხორციელდა სამ საბავშვო ბაღში (ბუკისციხე, სამება და ამაღლება) პროექტით განსაზღვრული ენერგო - ეფექტური ღონისძიებების გატარება. დანარჩენ 4 ბაღზე გამოცხადდა ტენდერი სამუშაოების შესრულებაზე, სადაც სამ ტენდერში გამარჯვებულ შემსრულებელთან გაფორმდა ხელშეკრულება, ხოლო ერთ ბაღზე ხელახლა გამოცხადდა ტენდერი.

პროექტის ფარგლებში განხორციელდა სოფელ შუა ამაღლებაში უდაბნოს მონასტრის მიმართულებით 1,2 კმ სიგრძის მონაკვეთის საქუჩო განათების მოწყობა, სადაც დამონტაჟდა 74 ცალი ლედ ნათურა, შეიცვალა 35 ელექტრო ბოძი და 500 მ ელექტრო კაბელი.

ასევე პროექტის ფარგლებში განხორციელდა საგრანტო კომპონენტი, სადაც გაიცა სამი მიმართულების გრანტი: მეწარმე სუბიექტების მხარდამჭერი 15 გრანტი, ფიზიკური პირებისთვის 7 გრანტი და არასამთავრობო და მედეა ორგანიზაციებისთვის 1 გრანტი.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM) საქართველოს 12 სამიზნე მუნიციპალიტეტში, მათ შორის ჩოხატაურში, ახორციელებს პროექტს მდგრადი რეინტეგრაცია და თემის გაძლიერება - პილოტური ინიციატივა მიგრანტთა დაბრუნების თემებში, რომელიც დაფინანსებულია მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის განვითარების ფონდისა (IDF) და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მიერ.

პროექტის ფარგლებში სხვა აქტივობებთან ერთად გათვალისწინებულია საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების ჩამოყალიბება, რომლის მიზანია უზრუნველყოს ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება ქვეყანაში მოქმედი სახელმწიფო და არასახელმწიფო პროგრამებისა და პროექტების შესახებ და საჭიროების მიხედვით შესაბამის უწყებაში მიზნობრივი გადამისამართება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენი განყოფილების მიერ 2024 წლის 1 იანვრიდან დეკემბრის ჩათვლით კონსულტაცია გაეწია და მიზნობრივად გადამისამართდა სხვადასხვა უწყებებში 17 მოქალაქე.

თემის განვითარების პროგრამის ფარგლებში მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) ფინანსური მხარდაჭერით სოფელ ზემო ფარცხმის ადმინისტრაციული შენობის ეზოში მოეწყო სკვერი, რის ფარგლებშიც დაიგო ქვაფენილი, მოეწყო ენერგო ეფექტური გარე განათების სისტემა, განთავსდა ეზოს სკამები და სანაგვე ურნები. ასევე, განათდა მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ გმირთა მემორიალი.

საჯარო ინვესტიციების - საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვა - განყოფილება ამ მიმართულებით აქტიურად არის ჩართული საფინანსო სამსახურთან ერთად. საკითხთან დაკავშირებით თბილისში ფინანსთა აკადემიის სასწავლო ცენტრში დავესწარით 2 დღიან სასწავლო ტრენინგს, და 4 დღიან ონლაინ სასწავლო ტრენინგს აღნიშნულ თემაზე. მომზადებული იქნა კონცეფციის ბარათი სახელწოდებით -

ჩოხატაურში ბორის პაიჭაძის სახელობის მულტიფუნქციური რეგიონული სპორტული ცენტრის მშენებლობა.

მიგრანტთა ეკონომიკური მხარდაჭერისა და რესოციალიზაციის პროგრამის ფარგლებში, დაფინანსდა ერთი რკინის საამქრო, სადაც შეძენილი იქნა 11 000 ლარის ღირებულების შესაბამისი აღჭურვილობა.

მაღალმთიანი დასახლების საბჭო - საანგარიშო პერიოდში ჩატარდა მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებთა სტატუსის მინიჭების საბჭოს 12 სხდომა, რის შედეგადაც 20 სტატუსის მაძიებელს მიეცა დადებითი რეკომენდაცია, ხოლო 25 პირს სტატუსი შეუწყდა მონიტორინგის საფუძველზე, ხოლო რეესტრის საფუძველზე 22 პირს.

წლის განმავლობაში განყოფილებაში შემოვიდა, მომზადდა და პასუხი გაეცა 46 წერილს.

მუნიციპალიტეტის ერთერთ ეკონომიკური განვითარების საფუძველს წარმოადგენს ქონება. გამომდინარე აქედან, ქონების მართვის კუთხით სამსახური ახორციელებს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აღრიცხვას, ქონების ელექტრონული ბაზის შექმნას და მის მუდმივ მონიტორინგსა და ქონების მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს (პრივატიზება, სარგებლობის უფლებით გადაცემა (სასყიდლით; უსასყიდლოდ)).

მიმდინარე საჭიროებებიდან, კერძოდ მოსახლეობისა და საჯარო ინტერესების გათვალისწინებით სამსახურის მიერ ეტაპობრივად მიმდინარეობს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება და საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ თანახმად, მუნიციპალიტეტის საკუთრებას მიკუთვნებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრაცია. ასევე, ამავე კოდექსით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის საჯარო ფუნქციები განხორციელებისათვის საჭირო ქონების გადმოცემა/რეგისტრაცია.

2024 წელში ქონების მართვის მიმართულებით, მოქალაქეებსა და სხვადასხვა უწყებებთან დოკუმენტბრუნვამ შეადგინა - 806 ერთეული (მათ შორის ელექტრონულად შემოსული - 291 ერთეული; გასული - 157 ერთეული; განცხადება - 97; შიდა მიმოწერა - 32 ერთეული; ბრძანება - 29 ერთეული; გასული პასუხი - 200 ერთეული). მომზადებულია 12 ერთეული განკარგულების პროექტი და 1 ერთეული დადგენილების პროექტი). სამსახურის მიერ მომზადდა დადგენილების პროექტი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრასთან დაკავშირებით; მუნიციპალური ქონების შექმნის მიზნით, სხვადასხვა საჭიროებებიდან (ინფრასტრუქტურული პროექტები, მუნიციპალური ქონების აღრიცხვა და სხვა) გამომდინარე განხორციელდა 91 ერთეული უძრავი ქონების საკადასტრო აზომვითი სამუშაოების ორგანიზება. ბალანსზე აღირიცხა - 18 065 811

ლარის ღირებულების ობიექტი; ასევე, სამსახური განიხილავს სახელმწიფო ქონების განკარგვასთან (პრივატიზება (2024 წელში სახელმწიფო ქონების პრივატიზებიდან ადგილობრივ ბიუჯეტში მოსალოდნელი შემოსულობა - 123 240 ლარი), სარგებლობის უფლებით გადაცემა, უძრავი ქონების ადგილმონაცვლეობა; საკუთრების უფლების აღიარება) დაკავშირებულ საკითხებს. განხორციელდა 1 ერთეული ამორტიზირებული შენობა-ნაგებობის ბალანსიდან ჩამოწერა და დემონტაჟი. საპრივატიზებოდ მომზადდა და გატანილ იქნა ელექტრონულ აუქციონზე 4 ერთეული უძრავი ქონება. პრივატიზებულ იქნა 3 ობიექტი (უძრავი ქონება), რომლის რეალიზაციიდან შემოსულებმა შეადგინა - 30 106 ლარი.

მთლიანობაში მიმდინარეობდა მუშაობა 20 საპრივატიზებო და 2 ერთეული საიჯარო უძრავი ქონების მომზადების მიზნით. იჯარით გაიცა 2 ობიექტი, რომელთა წლიური ჯამური საიჯარო ქირა შეადგენს 1250 ლარს.

იჯარით გაცემული ობიექტებიდან შემოსულმა საიჯარო ქირამ შეადგინა - 46 030 ლარი. ასევე, ხორციელდება იჯარით გაცემული ობიექტებიდან ქირის გადახდის მონიტორინგი.

„მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე განხორციელდა 413 ერთეული კორესპოდენციის განხილვა, კერძო მფლობელობაში არსებულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის მიზნით.

განხორციელდა 5 ერთეული უძრავი ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემა, რითაც ხელი შეეწყო სოფ. ზემოფარცხმის ამბულატორიის ფართის გადაცემას (გადაეცა - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ,,საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგს“) ინფრასტრუქტურული განვითარების მიზნით და გორაბერეჟოულის დენდროლოგიური პარკის გადაცემას (გადაეცა - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრს'') კულტურული და შემოქმედებითი განვითარების მიზნით. ასევე, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით 2 ობიექტი გადაეცა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,ფონდი ტასო“-ს, სოფლად მცხოვრები ღარიბი და მოწყვლადი ქალების ეკონომიკურ გაძლიერებას შემოსავლის შესაძლებლობის მიღებისა და განათლების მიზნით. ასევე, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირს ,,ოდა ქეარს“ გადაეცა 1 ობიექტი უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, შშმ პირების რეაბილიტაციის საქმიანობაში ხელშეწყობის მიზნით.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებით მიმდინარეობს სოფლის მეურნეობის სტატისტიკური მონაცემების შეგროვება/აღრიცხვა. დაინტერესებული პირებისთვის კონსულტაციის გაწევა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მეურნეობის საკითხებთან დაკავშირებით (მიწის კატეგორია; საძოვრები და სხ/სხ).

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოების მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის

განცხადების შესახებ ინფორმაციის დამუშავება/შესწავლა შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლების, დეპუტატებისა და მოსახლეობის ჩართულობით. მოსაზრებების, ინფორმაციის გავრცელების ამსახველი ფოტომასალის და თანდართული დოკუმენტაციის განთავსება სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე (იხ. ბმული https://mepa.gov.ge) .

სამსახურის ჩართულობით გარემოს ეროვნული სააგენტოს წარედგინა წინადადებები გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების თაობაზე.

- მიმდინარეობს სოფლის მეურნეობის სტატისტიკური მონაცემების შეგროვება/აღრიცხვა;
- დაინტერესებული პირებისთვის კონსულტაციის გაწევა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მეურნეობის კუთხით (მიწის კატეგორია; საძოვრები და სხ/სხ).
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოების მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადების შესახებ ინფორმაციის დამუშავება/შესწავლა შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლების, დეპუტატებისა და მოსახლეობის ჩართულობით. მოსაზრებების, ინფორმაციის გავრცელების ამსახველი ფოტომასალის და თანდართული დოკუმენტაციის განთავსება სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე .
- სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს წარუდგენს წინადადებებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე;
- შემუშავებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გასამწვანებელი ლოკაციების ბაზა;
- მიმდინარეობს მუნიციპალიტეტის ქონების (ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობები) ბაზის აღრიცხვა
  (სრული პაკეტი) ენერგო აუდიტისთვის, რომელიც ხორციელდება პოლონეთის სოლიდარობის ფონდის მხარდაჭერით;
- მუნიციპალიტეტის მერიისა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების **(GIZ) - ECO.Georgia-ს** პროექტის ნაყოფიერ თანამშრომლობის შედეგად, რომელიც მოიცავს მწვანე ნარგაობის მართვისთვის საჭირო საკანონმდებლო თუ მეთოდური დოკუმენტების შემუშავებას და ადამიანური რესურსის განვითარებას - მნიშვნელოვანი პროდუქტი შეიქმნა, რომელიც უკავშირდება მწვანე ნარგაობებით დაფარული ფართობების მართვას, მათ შორის აღსანიშნავია: 1. „ხეებით დაფარული ფართობების მართვის სახელმძღვანელო“, 2. მწვანე ნარგაობის იდენტიფიცირება და დარუკება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ასევე, სხვადასხვა სახის თემატური ტრენინგები.

- **ვმონაწილეობთ ენერგოეფექტური ღუმელების თანადაფინანსების პროგრამაში, როგორც სამიზნე მუნიციპალიტეტი, პროგრამის ამოცანას** წარმოადგენს სოფლად გარემოს დაცვა, ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება და კლიმატის ცვლილებების შერბილების ღონისძიებების ხელშეწყობა რეგიონებში მაცხოვრებელი მოსახლეობისთვის (შინამეურნეობისთვის) ენერგოეფექტური ღუმელების შეძენის თანადაფინანსების გზით.
- **შემუშავებულია მდგრადი განვითარების მიზნების მუნიციპალური დოკუმენტი (SDG).** ეკონომიკის სამსახური კოორდინაციას უწევს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში არსებული პირობების, გამოწვევებისა და შესაძლებლობების შესაბამის გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) 2030 წლის გეგმის განხორციელების პროცესს.